საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
განათლების, კულტურისა და სპორტის
სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY
OF EDUCATION, CULTURE AND SPORT

MES 8 22 0000619896

ეროვნული ბიბლიოთეკა
შეტყობინებულია
ელექტრონულად

09/06/2022

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრს
ბატონ გია აბულაძეს

ბატონო გია,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში 2022 წლის 3 ივნისს შემოვიდა თქვენი N09-02-16/306 (სამინისტროში რეგისტრაციის N591684) წერილი, რომლითაც უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად, "აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების ხელშეწყობის შესახებ" კანონის თაობაზე კითხვით მომართეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს.

გაცნობებთ, რომ "აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების ხელშეწყობის შესახებ" კანონის საფუძველზე სამინისტროს სხვა დანარჩენ მიზნებთან ერთად, განისაზღვრა სახელოვნებო, არაფორმალური განათლების, სკოლამდელი, პროფესიული განათლებისა და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა. შესაბამისად, განხორციელდა სამინისტროს დებულებაში ცვლილებები, შეიცვალა სტრუქტურული ქვედანაყოფები და მოხდა მათი უფლებამოსილების ახალ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანა.

კანონის მიღების შემდეგ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნა რიგი პროგრამები, სახელოვნებო, არაფორმალური, სკოლამდელი, პროფესიული და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობისთვის, როგორიც არის მაგალითად "პროფესიული განათლების ხელშეწყობის" ქვეპროგრამა (050803). გაძლიერდა სამინისტროს საქმიანობა სკოლამდელი განათლების მიმართულებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში მომზადდა აჭარის მუნიციპალიტეტებში ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განსახორციელებელი ტრენინგი და განხორციელდა პრაქტიკაში

6015 ქ. ბათუმი, ლ. გუდიაშვილის ქ. №4
ტელ./ფაქსი: 0422 245370
www. moecs.ge

№4 L. Gudiashvili street, Batumi 6015
Tel./Fax: +995 (422) 245370
www. moecs.ge

მხარდაჭერა (ქოუჩინგი). ქოუჩინგის მიზანი იყო საპილოტე ბაღების საგანმანათლებლო პერსონალის პრაქტიკაში მხარდაჭერა და პერსონალის გაძლიერება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების პრინციპების, ძირითადი მიმართულებებისა და მასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური საკითხების კუთხით. პროექტის ფარგლებში შეირჩა ოთხი ბაღი ბათუმში (ბათუმის 25, 27, 30, 34), 3 ბაღი ხულოს მუნიციპალიტეტში (დაბა ხულო, ქედლები, კვატია) და ორი ბაღი ქობულეთში (ჩაისუბანი, ქობულეთის N6). პროექტის ფარგლებში დაიგეგმა ბაღების ფიზიკური გარემოს შესწავლა, რის შემდეგაც შემუშავდა რეკომენდაციები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF Georgia) და სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით, 2022 წლის 2 და 3 ივნისს გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია ადრეული განათლება და ზრუნვა, რომლის მიზანიც გახლდათ აკადემიური დისკუსიისა და ცოდნის გაზიარების ხელშეწყობა ადრეული განათლებისა და ზრუნვის ხარისხის, წვდომისა და ინკლუზიის საკითხებზე.

ამასთან, ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის მიერ მიმდინარეობს პერსონალის გადამზადება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების პრინციპების, ძირითადი მიმართულებებისა და მასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური საკითხების კუთხით, ხოლო რესურსცენტრებს დაემატათ სკოლამდელი განათლების სპეციალისტები.

რაც შეეხება სამინისტროს მოსაზრებებს კანონპროექტთან დაკავშირებით, წარდგენილი იყო სამინისტროს 2018 წლის 22 ოქტომბრის NMES6 18 01 359910 კორესპონდენციით, რომელსაც გიგზავნით დანართის სახით.

მითითებული კანონის ეფექტურობასთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ არსებული საკანონმდებლო რეგულაციები, ამ ეტაპზე სამინისტროს საქმიანობის ლეგიტიმაციისთვის შესაბამისია. სამინისტროს ფუნქციების ზრდის/ცვლილების საჭიროების შემთხვევაში, შუამდგომლობით მივმართავთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, აჭარის უმაღლესი საბჭოს წინაშე საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენის შესახებ.

პატივისცემით,

მაია ხაჯიშვილი
მინისტრი